

სოციალური შფოთვა, იდენტობა და გამოტოვების შიში

თამარ გოგოლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია შეყრილაძე, ფსიქოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი , ვაცხადებ , რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ , გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს , რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”

თამარ გოგოლაძე

17.06.2019

აბსტრაქტი

გამოტოვების შიში წარმოადგენს ახალ ტერმინს, რომელიც აღწერს ადამიანების შიშს არ გამორჩნენ რაიმე დამაჯილდოვებელ გამოცდილებას და დაკავშირებულია ადამიანების მიერ სოციალური პლატფორმების გადაჭარბებულ მოხმარებასთან. გამოტოვების შიში მიიჩნევა ნაწილობრივ პასუხისმგებელად სხვადასხვა ფსიქიკურ აშლილობებზე, როგორცაა დეპრესია და სოციალური შფოთვა, ასევე ზრდის ადამიანების საფრთხის შემცველ ქცევას და მიიჩნევა „ციფრული დემენციის“ ერთ-ერთ ძლიერ ფაქტორად. თავის მხრივ, მრავალი კვლევა მიუთითებს იდენტობის სტილის მაღალ პრედიქტორობას ინტერნეტის ავადმოხმარებასთან მიმართებაში, ეს უკანასკნელი კი დაკავშირებულია გამოტოვების შიშთან. ვირტუალურ რეალობაში გაქცევის ერთ-ერთო წამყვანი ფაქტორად მოიაზრება სოციალური შფოთვაც. მოცემული კვლევა შეეხება გამოტოვების შიშის კავშირს პიროვნების იდენტობის სტილსა და სოციალური შფოთვისასთან. 200 ადამიანზე ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით იდენტობის სამ სხვადასხვა სტილს არ აღმოაჩნდათ ძლიერი და მნიშვნელოვანი პრედიქტორული ძალა გამოტოვების შიშის მიმართ, სოციალურ შფოთვა გამოტოვების შიშის დაახლოებით 24%-ზე აღმოჩნდა პასუხისმგებელი, რაც ძირითადად კრიტიკისა და შერცხვენის, ასევე საპირისპირო სქესისადმი ურთიერთობის სოციალური შფოთვით აიხსნება. თავის მხრივ გამოტოვების შიშს აქვს პრედიქტორული ძალა სოციალური შფოთვის მიმართ, რაც ამ ორი ცვლადის რეციპროკულ კავშირზე მეტყველებს.

გამოტოვების შიშის წინასწარმეტყველებაში ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ინტერნეტის მოხმარების ძირითადი მიზანი, აკადემიური მიზნებისთვის და საკომუნიკაციო მიზნებისთვის ინტერნეტის მომხმარებლების ჯგუფებს შორის

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება აღმოჩნდა, ასევე სტატისტიკურად მნიშვნელოვანია სხვაობა ქალებისა და მამაკაცების ჯგუფებს შორის სოციალური შფოთვის მიხედვით. ინტერნეტის მოხმარებაში დახარჯულ დროს კი არ აღმოჩნდა პედიკტორული როლი გამოტოვების შიშის მიმართ. ეს შედეგები ეთანხმება მანამდე არსებული კვლევების შედეგებს.

საკვანძო სიტყვები: გამოტოვების შიში, იდენტობის სტილი, სოციალური შფოთვა, ინტერნეტზე დამოკიდებულება, სოციალური მედია.

Abstract

Fear of missing out represents newly established term, which describes anxiety of missing some rewarding experiences, linked with excess usage of social media platforms. Fear of missing out might be partially responsible for different mental disorders like depression and social anxiety, also catalyst of risky behaviors. Fear of missing out is considered to be one of the strongest factor of “digital dementia”. On the other hand, many surveys point out the high predictability of internet addiction by identity styles, also social anxiety is continuously examined and analyzed as a predictor of escaping in virtual world. On the basis of reviewing recent surveys and literature we try to answer following question: how identity style and social anxiety predicts fear of missing out.

Survey was conducted on 200 participants, results indicate that three different style of personal identity don't have strong and meaningful predictive power toward fear of missing out; Social anxiety predicts fear of missing out approximately by 24%, which is explained mostly by the role of interaction with opposite sex and criticism and embarrassment social anxiety. Herewith, fear of missing out also predicts social anxiety. Hence, those two variables have reciprocal interaction.

The purpose of internet usage showed predictive role toward fear of missing out, there is statistically significant difference between academic and work-related purpose groups, also there is significant difference in social anxiety between men and women. Time spent online is not predictive toward fear of missing out. These results agree with previous surveys.

Key words: fear of missing out, identity style, social anxiety, internet addiction, social media.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას გაწეული რეკომენდაციებისთვის მადლობას ვუხდის ჩემს ხელმძღვანელს, ფსიქოლოგიის დოქტორ ია შეყრილაძეს, რომელიც კვლევის საწყისი ეტაპიდან მეხმარებოდა სათანადო მითითებებითა და შესწორებებით. მისი პროფესიული მარდაჭერის საშუალებით შესაძლებელი გახდა ამ ნაშრომის მომზადება.